C1-7 4410-
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
№ 1202.

სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით თვიდისში	გაუგზავნლათ:
ს გარეშე ადგილებში:	
რთი წლისა — 4 ვ.	— 3 ვ. —
ახევარი წლისა — 3 —	— 2 ვ. —
ამი თვისა — 1 ვ.	— 1 ვ. —

მეექვსე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის მოწერა მიიღება:
თფილისს „სასოფლო გაზეთის" რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბლიერი სტრიმაში, ხასის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში თფილისას გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი-
Въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ: при типографіи Г. Церетели и к°. (Дубелира).

№ 1 ორშაბათი | VI | 15 იანვარს, 1873 წ.

შინაარსი:

ოფიციალური ნაწილი: მმართველობის განკარგულება გზებზე სარწყლისაკენ. არა ოფიციალური ნაწილი: სოფლის საამსნაბანკი, ამეურნეო ნაწილი. ეკონ-ლის კასეთში.— ოკვნის და ფარანლის გაკეთება. ერთი კარგი ბაზი რაზეა ქალის გამზითვაზე. სამეგრელოს მოსავლის შესახებ, (დასასრული) განცხადება.

ოფიციალური ნაწილი

ПРАВИТЕЛЬСТВЕННОЕ РАСПОРЯЖЕНІЕ.

Въ Главное Управленіе Намѣстника Кавказского нерѣдко поступаютъ жалобы скотопромышленниковъ и лицъ, занимающихся въ краѣ перевозкою тяжестей, на притѣсненія со стороны владѣльцевъ придорожныхъ дачъ, которые каждый разъ, какъ только случается жалобщикамъ сходить во время пути съ своими стадами съ дороги или проходить къ водопою, берутъ съ нихъ произвольные поборы деньгами и скотомъ. Между тѣмъ дорожная полоса транспортныхъ или коммерческихъ путей и шоссейныхъ дорогъ, на основаніи примѣчанія къ 524 ст. т. XII част. 1, изд. 1857 г. и ст. 528 того-же тома и части, должна имѣть не менѣе 20 саж. ширины, считая отъ средины дороги по 10 саж. въ обѣ стороны, а полоса проселочныхъ дорогъ 3 саж. ширины, и на этомъ пространствѣ владѣльцамъ придорожныхъ дачъ строго воспрещается притѣснять или затруднять движеніе; а дабы прогоняемый скотъ не могъ причинить порчи полямъ и потравы хлѣбу, то владѣльцы обязаны свои дачи въ тѣхъ мѣстахъ отъ дороги огородить или обрыть канавами (ст. 434—436 т. X, час. 1, изд. 1857 г).

Въ видахъ огражденія скотопромышленниковъ и лицъ, занимающихся перевозкою тяжестей, отъ произвольныхъ и незаконныхъ поборовъ со стороны владѣльцевъ придорожныхъ дачъ, Главное Управленіе Намѣстника обратилось къ гг. Губернаторамъ съ просьбою принять мѣры къ опредѣленію ширины скотопрогонныхъ и караванныхъ путей въ губерніяхъ, съ нарѣзкою для безплатнаго движенія по 10 саж. въ обѣ стороны почтовыхъ дорогъ и проселочныхъ по $1^1/_2$ саж., и съ назначеніемъ водопоевъ, предоставивъ затѣмъ придорожнымъ владѣльцамъ, по соглашенію съ караванщиками, стадохозяевами и арабщиками, взимать сборъ собственно за ночные или суточные выпасы на принадлежащихъ имъ земляхъ, и отнюдь не требовать денегъ при проходѣ скота по краямъ дороги и для водопоя.

მმართველობის განკარგულება

კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესს სამართველოში ხშირად საჩივარი შემოდის ჯოგისა, ნახირისა და ფარის პატრონებისაგან და ქირაზე მოსიარულე მეურმეებისაგან, რომ გზაზე დადგომის დროს და წყლის სმეის დროს მამულის მეპატრონენი თავისის ნებით ხარჯს გვართმევენო, თუ ფულითა და თუ პირუტყვითა. კანონის მეთორმეტე ტომის და პირველი ნაწილის, 1857 წლის გამოცემის, 524 მუხლის შენიშვნისა და იმავე ტომის 528 მუხლის საფუძვლისამებრ დიდი სავაჭრო, გადასაზიდავი და მოსეს გზას სულ ოცი საჟენი სიგანე უნდა ჰქონდეს, ასე რომ გზის შუა ხაზიდგან ათი საჟენი აქეთ და ათი საჟენი იქით; სოფლის გზებს კი სულ სამი საჟენი სიგანე უნდა ჰქონდეს და ამ სიგანეში გზაზე მდებარე მამულის მეპატრონეებს კანონი სასტიკათ უშლის, რომ გზაზე მოსიარულე მეურმეები და ან სხვა მოსიარულენი საქონლითა და პირუტყვითა არ დაბრკოლონ და არ შეაყენონ. და გზაზე მოსიარულე პირუტყვმა რომ არ გააფუჭოს მინდორი ყანა და ვენახი ამისათვის მამულის მეპატრონეებს ვალათ ადევთ თავის მამულის ადგილებში ან დობე გაკეთონ, ან არხი გაიყვანონ (მუხლი 434-436 ტომი X, ნაწილი 1, გამოცემა 1857 წლისა).

მამულის მეპატრონეებმა პირუტყვის პატრონსა და მეურმეებს რომ უკანონო და თავის ნებით ხარჯი არ გამოართვან, ამისათვის ნამესტნიკის უმთავრესმა სამართველომ მისწერა გუბერნატორებს თხოვნა, რომ

F 13-116
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონისძიება იხმარონ და გუბერნიაში სავაჭრო და პირუტყვის სავლელი გზა გამოარკვიონ, რომ ფოჩტის გზის ათს საჟენზე აქეთა და ათს საჟენზე იქითა თავისუფლათ და უფულოთ შეიძლება სიარული. აგრეთვე სოფლის გზებზე საჟენ ნახევარზე აქეთ და საჟენ ნახევარზე იქით შეიძლება სიარული თავისუფლათ. და ამავე ადგილს თავისუფლათ შეიძლება წყლის სმა პირუტყვისათვის. მამულის მეპატრონეებს შეუძლიათ ქარვანისა, პირუტყვისა და ურმის პატრონთან მორიგდნენ, როდესაც იმათ საკუთარ მამულში საძოვარი ან წყალი უნდათ, ან ბინაზე დგებიან თითო დღით ან მარტო ღამე. მაგრამ გზის აქეთ და იქით ზემო აღნიშნულ სიგანეზე სიარულისათვის და წყლის სმისათვის ფულის გამორთმევა არ შეუძლიათ.

არა ოფიციალური ნაწილი

სოფლის საამხანაგო ბანკი

I

პირველი საცოდნი რამ ბანკისათვის.

ამ ჟამათ რუსეთში ბევრგან ლაპარაკია სოფლის საამხანაგო ბანკების გამართვაზე, ასე რომ მთელი თითო უეზდები და გუბერნიების ერობა ამის განსჯაშია, თუ როგორ უკეთესათ გამართონ და დააწესონ საამხანაგო ბანკები. ეს ლაპარაკი აგერ რამდენიმე წელიწადია არის. მაგრამ ცარიელი ლაპარაკით ხომ საქმე არ გარიგდება. ამ ორიოდ წლის წინათ თიბათვეში 1870 წელსა ნოვგოროდის ერობამ გადასწყვიტა, რომ ფული გადასდვას და ათას ოთხას ორმოც და ათი თუმანი დანიშნა სოფლის სამხანაგო ბანკების გასამართავად და თითო საამხანაგო ბანკს ასი თუმნიდამ სამას თუმნამდის აძლევდა ადგილობრიე საჭიროების დაგვარათ.

ამ ფულის შემწეობისგამო ნოვგოროდის გუბერნიაში ბევრს სოფელში გაიმართა საამხანაგო ბანკები და სხვა ადგილებისთვის სამაგალითო შეიქნა.

რაკი ერთგან საფუძვლიანათ დაწყესდა ბანკი, სხვაგანაც გულიანათ დაიწყეს ამაზე ლაპარაკი ბევრმა სხვა და სხვა გუბერნიის ერობამა. ყველგან სურვილი ამოჩნდა კანონები შეედგინათ ბანკებისთვის, ფული გადაედვათ და გაემართათ. ყველა უეზდებში და გუბერნიებში თავთავის კანონებს ადგენდნენ ამ ბანკებისათვის და ეხლაც ადგენენ, რომ მთავრობას წარუდგინონ დასამტკიცებლათა.

ამ ჟამათ რუსეთში ოცდა თექვსმეტი ამხანაგობაა სოფლის ბაკისა და კანონები იმათი სხვა და სხვა გვარისაა. ეს სხვა და სხვაობა იმისაგან წარმოსდგა, რომ ადგილობრივი გარემოების მიხედვით ზოგ ზოგი რამ უნდა შეიცვალოს. მაგრამ ყველა საამხანაგო ბანკებისთვის კი ზოგი რამ საფუძვლათ ერთ გვარი უნდა იყოს. ამისათვის რა საკვირველია საქმის ცოდნა საჭიროა და მეორეც გამოცდილებაა.

რადგანაც რუსეთში ეს საქმე ახალი იყო, ამისგამო ზოგიერთი შეცდომა მოხდა და ეხლა ამისათვის ცდილობენ, რომ შეცდომა თავიდგან აიცილონ და საქმე მკვიდრათ წაიყვანონ. ამისათვის საჭიროთ დაანახეს, რომ ერთი სამაგალითო კანონი შეედგინათ ყველა სასოფლო საამხანაგო ბანკებისათვის და შიგ დაერთოთ ისეთი შენიშვნა, რომ ვისაც ბანკის გამართვა უნდა, გაარჩიოს ყოველთვის და ყოველგან რა უნდა იყოს უეჭველად მიღებულია და რა შეიძლება შეიცვალოს ადგილობრივის გარემოების მიხედვით.

მოსკოვში ერთი საზოგადოებაა, სამეურნეო საზოგადოებას ეძახიან; ქრისტიშობისთვეში 1870 წელსა ამ საზოგადოებაში ლაპარაკი ყოფილა სასოფლო ბანკებზე, და კაცები ამოურჩევია, რომ სამხანაგო ბანკების ვითარება გამოიძიონ და შეადგინონ სამაგალითო კანონები სოფლის საამხანაგო ბანკებისა.

ეს სამაგალითო კანონები შეადგინეს და მმართებლობამ დაამტკიცა. ჩვენ ახლა ამ კანონების თარგმნა გვინდა, რომ ვისაც ჩვენს საქართველოშიაც უნდოდეს საამხანაგო ბანკის გამართვა, ხელში ჰქონდეს და გაიცნას საამხანაგო ბანკის საქმე, ვიდრე ამას გადმოვთარგმნიდეთ, რამდენიმე ლაპარაკია საჭირო ამ კანონზე, რომ კარგა ვაცნობოთ. ამისათვის ამ კანონებს დამატებული შენიშვნები და ახსნა აქვს მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების კაცებისაგან და ამაების თარგმნაც საჭიროა.

აქვე უნდა ვთქვათ ის აზრი, რომელიც მოსკოვის საზოგადოებას გამოუთქვამს, რომ ეს კანონები სრული არ არის ისე, რომ ვითომც შეცვლა არ შეიძლებოდეს. ადგილობრივის გარემოების მიხედვით უეჭველია ზოგი რამ უნდა შეიცვლებოდეს ხოლმე. მაგრამ რაც კი აქამდინ გამოცდილებას უჩვენებია და რაც საჭიროა, უფრო ესენი არის კანონში.

სოფელში ამხანაგობა რომ დაწესდეს ბანკის გასამართავად, ამ ამხანაგობას უეჭველათ კანონი უნდა ჰქონდეს თავის ბანკისა. ამისთანა კანონის ჯერ შედგენა და მერე მმართებლობისაგან დამტკიცებას ბევრი დრო და წვალება უნდება.

მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებას უნდოდა, რომ ამისთანა წვალებისაგან გამოეყვანა სოფლის ამხანაგობა და შესწევნოდა კანონების შედგენითა.

რაკი კანონები შედგენილია, სოფლის ახანაგობას ამ კანონის მიხედვით შეუძლია თავისი ბანკის კანონი დასწეროს და რაც საჭიროთ დაინახოს ის შეუძლია შესცვალოს. მასუკან ამხანაგობის კანონი მთავრობას უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლათ. ამ დამტკიცებისათვის დრო მიდის, და ამისათვის რომ უფრო ჩქარა დამტკიცდეს დაუბრკოლებლად, აი ეს ჩვეგან თარგმნილი კანონი უშველის, რადგანაც მმართებლობისაგან დამტკიცებულია. რაკი სოფლის ამხანაგობა წარადგენს ამ კანონებსა, მაშინათვე ნება მიეცემათ ბანკის გამართვისა და დაფუძნებისა. ამასთანავე იქნება ღონისძიების ჩვენება, თუ ბანკის გამართვისათვის რა გზით შეუძლიათ გამოიტანონ სახელმწიფო ხაზინიდგან ფული.

იმედი გვაქვს, რომ რადგანაც ეს საქმე დიდათ საჭიროა ჩვენის გაჭირებულის სოფლე-

ბისათვის, მოთმინებას იქონიებენ მკითხველები ამის კითხვისას, გულის ყურს ადევნებენ ამ ბანკის საქმესა, შეისწავლიან რამდენათაც ღონის ძიება აქვთ და მოისურვებენ ჩვენი გლეხობის შემწეობასა, სოფლის სიკეთესა და საქართველოს კეთილდღეობასა.

(შემდეგი იქნება)

სამეურნეო ნაწილი

კუტი-კალია კახეთში, მაისში 1872 წელსა.

მარშან, 1872 წელსა, აპრილის დამდეგს თელავის მაზრაში გაჩნდა უმრავრესი კუტი კალია და ძალიან დაზიანა ვენახები, ბაღები, ბოსტნები და ნათესი მინდვრები. ამის გამო ამ მავნებელ სენს მმართველობამ მიაქცია ყურადღება, და ალაგობრივი გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს კუტი-კალიები მაისის ნახევარს ჯერ კიდევ ქორფები იყვნენ, ბუდობდნენ ვენახებში, ბაღებში, ბოსტნებში —იმ ალაგებში, საცა კვერცხებიდამ დაიჩიკნენ; სჭამდნენ ვაზის ყვავილებს, მერე ფოთლებს და კოკრებს. ცოტა ხანის განმავლობაში ისე აიკლეს და გაფცქვნეს ვენახები, გაზაფხულზედ კაცს რომ შეეხედნა ვენახების თვის, ეგონებოდა, ქრისტისშობისთვე არისო. ვაზის გაოხრების შემდეგ კუტი-კალიები დაადგნენ წვრილსა და დაბალ ხეხილებსა: ატამის, ქლიავის და ბერძნული თხილის ხეებსა და ჩამოსჭამეს ფოთლები; აგრეთვე სჭამდნენ ბოსტნეულს: ლობიოს, ხახვის და სალათის ფოთლებსა და ბოსტნების ბალახს ჭინჭრის ფოთოლსა, მაყვლისასა და სხვ. ამ ჯერეთ ქორფა კუტკალიებსა ჯერ ფრთები არა ჰქონდათ და ვერ შეეძლოთ მაღალ ხეებზედ აფრენა. მაგრამ ისინი მოედენენ მინდვრებს, საცა მაშინ ქერი შემოდიოდა და დიდი ზიანი მისცეს მცხოვრებთა.—

ყვარელის ნაწილში, უფრო სოფელს შილდის არე-მარეს, ეს კუტი-კალიები ზოგი დიდი იყო, ზოგი პატარა: ზოგი იმათგანი ბუზის ტოლა იყო, ზოგი კი ორი გოჯის სიგრძე, მაგრამ ჯერ ფრთები არ ესხათ. 1) თელავის ახლო მინდვრებზედ კუტიკალიები არა სჩანდნენ, უფრო ხშირი წვიმებისგამო, ალაზანს გადმა ნაპირს და სიღნაღის მაზრაში, საცა ხანგრძლივი გვალვები იყო, კუტიკალიები ალაგ-ალაგ ხშირათ ხედებოდა.

ეს კუტი-კალიები ორნაირნი არიან. ერთი არის სრულიად მწვანე, მეორეს ქვედა ხხარეტანისა აქვს მწვანე, ზედა-შავი ყვითელი ზოლებითა. კუტი-კალიები მრავლდებიან კვერცხებითა შემოდგომაზედ, ენკენისთვეში და დეკემბერისთვეში. დედა კუტი-კალიები მიწაში-სოროებში ადლის ერთი ჩარქის სიღრმეზედ სდებენ კვერცხებსა და ამის შემდეგ იხოცებიან. მამლები კი თითქმის ზამთრის დამდეგამდის ცხოვრებენ და იხოცებიან, როცა ყინვებს დაიქერს ხოლმე. ეს კვერცხები მთელი ზამთარი, გაზაფხულამდის თბილათ სოროებში არიან; გაზაფხულზედ აპრილის დამდეგს როცა ჰაერი შეთბება, სითბოს ძალით კვერხებიდამ გამოდიან ის პატარა, ქორფა კუტი-კალიები. ამათა აქვთ ძალიან მკრთალი მწვანე ფერი, პირველ დაბადებიდგანვე ტანის შენობა სრული აქვთ, მარტო ფრთები აკლიათ. ქერქს ოთხჯერ იცვლიან, მეოთხე ქერქის გამოცვლასთან ფრთებიც ესხმებათ და იწყობენ ფრენასა. იკვებებიან ყოველი ხეების მწვანე ფოთლებითა, ყვავილებითა, მინდვრის ნათესის და ბალახის ფოთლებითა. ეს კუტიკალიები სხვა ქვეყნებშიაც იმყოფებიან, მაგალითად. სამხრეთის ევროპაში, საშუალო აზიაში და ჩრდილოეთის აფრიკაში.

ყველა მსწავლულები, ვისაც კი ამ კუტკალიებისათვისა თვალ-ყური უდევნებია და ესენი კარგა შეუსწავლია, ყველანი ამტკიცებენ, რომ ამათ არა ვითარი ზარალის მოტანა არ შეუძლიანთ ხეებისათვის და ნათესისათვის იმ მიზეზის გამო, რომ ეს კუტიკალიები ისე არა მრავლდებიან, როგორც ჩვენ ზემოდ ალიები; ამასთანავე სამხრეთ ევროპაში და რუსეთში ეს კუტი-კალიები იწყობენ თავის მავნებელ მოქმედებას მკათათვეში და მარიამობისთვეში, იმ დროს, როდესაც ყველა ნათესი და ხილიც თითქმის შემოსულია და კუტ-კალიებს ვერ შეუძლიათ ამათი წახდენა. აქ, ჩვენ საქართველოში კი ეს კუტიკალიები ჩნდებიან გაზაფხულის დასაწყისში და მაშინვე იწყობენ ნათესის და ხეების ხდენას, მაგალითად: როგორც შარშან კახეთში მაისში გადაატიტვლეს ნათესი მინდვრები და გაფცქვნეს ვენახები და ბაღები.

ამ ორ წელიწადში, ხანგრძლივი გვალვების, გამო ეს კუტიკალიები ძალზედ გამრავლდნენ და, როგორც ეხედამთ, წრეანდელ მშვიდობიანს და უავდრო ზამთარსა, უცქველათ შემდგომში გაზაფხულზედ ეს მავნებელი მტერი უფრო მრავალი გაჩნდება და უფრო დიდხანს ზიანს მოგვცემს ჩვენა. ამის გამო სასურველია, რომ ჩვენი ქართველები-და ნამეტნავათ კახელები, რაკი ეს, კუტიკალია პირველათ აქ ამოჩნდა,—გულდადებით და კარგი მოსაზრებით შეუდგნენ იმ საშუალებებს, რომელნიც საჭირონი არიან ამ კუტიკალიების ამოსაგდებლათ. ეს საშუალებები ძალიან ადვილნი, ხელ-დახელნი არიან, ამათი მოძიება და მოხმარება ყველას მდიდარსაც და ღარიბსაც შეუძლიან, თუკი დაუდეგენელობას და სიზარმაცეს თავი დანებეს, თუ ისე გულგრილათ და დაუდეგრათ არ დაუწყო კაცმა ყურება ამ ახალს სენს და ამისაგან მოტანილს ზიანს, როგორათაც უზრუნველათ უყურებდნენ კახეთში, ალაზანს გადმა მცხოვრებნი, თავის აოხრებულ ვენახებს და ნათესს მინდვრებს ამ კუტიკალიებისაგან. თურმე ეს მცხოვრებნი შინაურს პირუტყვებს: ინდოურებს, ქათმებს და ღორებს არ უშვებდნენ იმათზე, რომელნიც დიდის გაცხარებით სდევნიდნენ და სწყვეტნენ კუტიკალიებსა. ამის საბუთათ მოჰყავდათ, ის ცრუ მორწმუნობა რომ კუტიკალიები შხამიანები არიანო და შინაური პირუტყვები იმ შხამიანებს რომ დაუწყვეტენ ჭამასა, დაიშხამებიან და

1) სიღნაღის მაზრაში, საცა ჭაერი უფრო თბილია, კუტი-კალიები უფრო მალე დასრულდნენ; ამაგე დროს მაისის სასეკრს, იქ კუტი-კალიები დაფრთიანებული იყვნენ.

იხოცებიანო. ეს უკანასკნელი შიში მცხოვრებისა ტყუილი გამოდგა, როგორც ქვევით შევიტყობთ. ოღომც კი წყალი უკლებლივ და ხშირად ასვან პირუტყვსა და დღეში რამდენჯერმე მოაშორონ კუტი-კალიას და თავისი ჩვეულებრივი საჭმელი მისცენ.

კახეთის მემამულეებმა, რომ შეამჩნიეს კუტი-კალიის მავნებელი მოქმედება ვენახებზე, მოიხმარეს ზოგიერთი ღონის ძიებაები, რომელთაც ძალიან ავათ იმოქმედეს კუტიკალიების გამრავლებაზე. განსაკუთრებით გიორგი ჯორჯაძემ შეამჩნია თუ არა კუტი-კალიებისაგან ვენახის დაზიანება, მაშინვე გულმოდგინეთ შეუდგა საშუალების მოხმარებას კუტიკალიების გასაწყვეტლათ. დაიქირავა მუშები, სულ ერთიანათ გამოათიბინა ვაზების ქვეშედამ ბალახი და ვენახიდამ გამოახვეტინა გარეთ. მერე მუშებმა ყოველ დილით, მზის ამოსლევამდის დაუწყეს ვაზებს ბერტყვა რაკი ამ დროს კუტიკალიები, ღამის სიცივისაგან გაბრუჟულნი ვერ ინძრევიან, მუშები ძირსმოცვინულს კუტ-კალიებს ნიჩბებითა და ცოცხებითა გარეთა ხვეტდნენ, აგროვებდნენ ერთგროვათა და ცეცხლში სწვამდნენ. აქა იქ დარჩენილის კუტიკალიების გასაწყვეტლათ შეუშვეს ვენახებში შინაური პირუტყვები: ინდაურები, ქათმები, და ღორები და ამათ დიდი სიცხარით დაუწყეს დევნა და ქლეტა კუტი-კალიებს. ეს პირუტყვები არც დაიშხამნენ და არც დაიხოცნენ, მანამ თვითონ პატრონმა არ ისურვა ამათი დახოცვა თავის საჭიროებისათვის. გიორგი ჯორჯაძემ საცდელათ დაიბარვინა რამდენიმე ალაგი ვაზების გარშემო, და ამ ვაზებზე კუტი-კალიები სულ აღარა ჩანდნენ, ვაზები სრულებით გადაურჩნენ კუტი-კალიებსა. წყლის ღონივრათ შესხმა ვაზებზე, როცა ვაზებზე სხედან კუტიკალიები ვერასა შველის იმათ დახოცვას. ზოგი ერთა მებატონეებმა ვაზებს ქვეშ გაათიბინეს ბალახი, იმ იმედით რომ ბალახს გაჰყვება კუტიკალიაო, მაგრამ მემამულეები მოსტყუვდნენ. იმათ უფრო დიდი ზარალი მოუვიდათ. კუტიკალიას რომ სალამოს გათიბვას შემდეგ საჭმელი შემოაკლდათ, ერთად შეესივნენ ვაზებსა და დაუწყეს ჭამა ფოთლებსა, ყვავილსა და კოკრებსა.

ამ ზემო ნაწერისაგან ჩვენ შეგვიძლიან შემდეგი აზრი გამოვიყვანოთ: თუ კაცმა თავის ჭკუასა და ძალას გონივრული მიმართულება მისცა და შემდეგ კარგა დააკვირდა რაიმე მავნებელს მოვლინებას, უბედურებასა, სენსა, როგორც ეხლა ამ კუტი-კალის გაჩენას, ის უთუოთ შეამჩნევს ამ სენის ხასიათსა, შეისწავლის იმ მხარეს, რომლითაც ეს სენი აზარალებს კაცსა. შეიტყობს რა მიზეზით გაჩნდა ეს სენი, რა აძლიერებს, და რა ამრავლებს, რა ამცირებს და სწყვეტს ამასა.

ჩვენ სუყველამ შევამჩნიოთ, რომ ეს ორი წელიწადი ჩვენ საქართველოში ზაფხულში დიდი ხანგრძლივი გვალვებია, ზამთარი ძალიან მშვიდობიანია, უავდრო, თოვლი თითქმის სულ არ დაუდვია. შარშან მაისში კახეთში (და ქართლშიაც) გაჩნდა კუტიკაკალია, რომელმაც დიდი ზიანი მოგვცა, მემრისაც ამ ზარალს უნდა მოველოდეთ უფრო მომეტებით, რადგან წრევანდელი ზამთარიც უთოვლოა. და თბილი. სითბო და დარიანობა ძალიან კარგა მოქმედებს კუტი-კალიის გამრავლებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ კუტი-კალია კვერცხებით მრავლდება და ამ კვერცხებს მიწის სიღრმეში სდებს, რომ ზამთრის სიცივემ არ წაახდინოს. ისიც შევიტყვეთ, რომ ზოგიერთი საშუალების ხმარებამ და კაცის ცდამ და მოსაზრებამ კუტიკალიების გაწყვეტაზე იმოქმედა.

ეხლა ჩვენ შეგვიძლიან, რაც ზემოთ იყო ნაწერი ზოგიერთა საშუალებების ხმარებაზე და ცდაზე კუტი-კალიის გასაწყვეტათ, სულ ეს ერთათ შევაგროოთ და ასე გამოვსთქვათ:

თუ კუტი-კალია მარიამობისთვეში მრავალია სახნავ მინდვრებში, ვენახებში და ბაღებში, მაშინ ეს კუტი-კალიები უეჭველათ სოროებში მრავალ კვერცხებს დასდებენ და ჩვენ გაზაფხულზე მრავალ კუტიტალიის გაჩენას უნდა მოველოდეთ; კუტი-კალიის ძირიანათ ამოსაგდებლათ, აი რა უნდა.

ა) შემოდგომაზედ უთუოთ უნდა გადიხნას სახნავი მიწები, გადაბაროს ვენახებში და ბაღებში ვაზების და ხეების ქვეშე მიწა. ხვნისა და ბარვის დროს მიწა გადაბრუნდება, კუტიკალიების სოროები ძირიანათ დაიშლება და მისი კვერცხები დედა მიწის ზევით ამოცვივიან და ღია დარჩებიან, ზამთრის ყინვა და და ავდარი, წვიმა-თოვლი ამ კვერცხებს გაალაყებს, წაახდენს.

ბ) გაზაფხულზედ ვენახები უნდა გაიწმინდოს უბრალო ბალახებისაგან; თუ ზამთარს გადურჩა კუტი-კალაების კვერცხები და გაზაფხულზედ ამ კვერცხებიდამ გამოვიდნენ ახალი კუტი-კალიები, ეხლა გაზაფხულზედ ბალახს გაჰყვებიან და დაიხოცებიან უსაჭმლობით, რადგან პირველში უმთავრესი საჭმელი ამ ქორფა კუტი-კალიებისა არის გაზაფხულის ქორფა ბალახის ფოთლები;

გ) თუ ვენახის მეპატრონეებმა გაზაფხულზედ შეამჩნიეს კუტი-კალია ვენახებში, მაშინვე უნდა გასთიბონ ვაზების და ხეების ქვეშა მთელს ვენახში, ბალახი ვენახს გარეთ გამოხვეტონ; ყოველ დილით, მზის ამოსვლამდის მუშებმა უნდა დაარყიონ ხოლმე ვაზები, მერე ცოცხებით და ნიჩბებითა გამოხვეტონ გარეთ, გროვათ შეაგროვონ და ცეცხლში ჩასწვან; ამის შემდეგ უნდა შერეკონ შინაური პირუტყვები: ინდოურები, ქათმები და ღორები; ესენი ძალიან დიდის სიცხარით დაუწყებენ დევნას და გასწყვეტენ. ბოლოს აქა-იქ დარჩენილის კუტი-კალიების გასადევნათ ვენახში ალაგ ალაგ პატარა კაჭაჭის და ლივას ბულულები უნდა დააგროვონ; ღამით სიცივისაგან შეწუხებულნი კუტი-კალიები ამ ბულულებში თავს შეაფარებენ, დილაზედ ადრე მზის ამოსვლამდის ამ ბულულებს ცეცხლი უნდა წაუკიდონ და შიგ ჩასწონ.

ეს საშუალებები, რომელნიც კაცმა უნდა მოიხმაროს კუტი-კალიის გასაწყვეტლად, ჩვენ ხალხს არ ექაშნიკება, რაკი ჩვეულებრივს მამა პაპურ შემუშავებას, ვენახისას და სახნავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწებისას არა ჰგავს. მაგრამ ახალ სენს ახალი წამალი უნდაო, იტყვიან; ამისთანავე წვალება ბევრი უნდებაო და წვალებაც ფასათ არ ეღირებაო. რა ფასათაც აქამდის ეყიდნენ ჩემ ჭირნახულსა, ეხლაც ისე გამეყიდებაო. ეს კი საბუთია, მაგრამ სულ ცარიელზე რომ დაჯდეს კაცი კუტი-კალიის წყალობით ეს უფრო ჭკუის სასწავლებელი საბუთი იქნება.

მართალია მარტო, ხელი ღარიბი კაცისათვის მთელი ენენახის ესე ერთგულათ შემუშავება ძნელი საქმეა, მაგრამ ეს სიძნელე განა ვერ გადეალ ლდება, თუ კი კაცმა მოინდომა? რაც ერთ ადამიანს უჭირს, იმისთანა საქმის გაკეთებისათვის რამდენსამე ერთათ შეამხანაგებულ კაცს უადვილდება. განა არ შეუძლიათ ღარიბებს შეერთდენ ხუთ-ხუთობით ათობით და უფრო მეტათ მთელი სოფლით კაცი და დედაკაცი და ასე ერთად ჯერ ერთის ენენახი ან ნახნავი შეამუშაონ, მერე მეორისა, მერე მესამისა და ასე რამდენსამე დღის განმავლობაში, ყველას ნახნავი ან ენენახი ჩამორიგებით შეამუშაონ, როგორც რიგ-რიგში. ნაშრომევ და ნაჭირნახულევ, პურს, ღვინოს და სხვას ყოველთვის ის ფასი აძლევ რაც ჯაფა და შრომა მოსდომებია. ამ ნაშრომევ, რაც ეხლა მომატებული შრომა მოუნდება ჭირნახულსა, იმდენი მომატებული ფასი დაედება.

თევზისა და ფრინველის გაწეტა.

ხშირათ გაიგონებთ ხნიანს კაცებისაგან, რომ ამა და ამ ადგილს ესა და ეს ფრინველი ან ესა და ეს თევზი ბევრი იყო და ეხლა აღარ არისო. ბევრჯერ ჩვენ თვითონაცა ვხედავთ, რომ ფრინველი ოლევა, თევზი წყალში აღარ გამოდის. ამისაგამო ძვირდება თევზიც და ფრინველიცა. და ხალხსაც აკლდება ნოყიერი საჭმელი. გლეხი კაცისათვის ძალიან დასაკლისია, რომ უიმისოთაც ხორცის ჭამა ნშვიათად იცის, ხანდისხან ან ტყეში ინადირებს და ცოლ-შვილს ფრინველის ხორცს აჭმევს, ან ახლო-მახლო წყალში თევზს დაიჭერს და წვრილ-შვილს პირს გაასველებინებს, ან ქალაქში ჩაიტანს და ორიოდ გროშებს აიღებს ოჯახში მოსახმარებლათ. ახლა თან-და-თან რომ ესეც ილევა, ძალიან დასაკლისია და ამისთვის საჭიროა, რომ სოფელმა რამე იფიქროს და წამალი დასდვას.

ტყეში რამდენიც ფრინველი ბევრი იქნება და წყალში თევზი — იმდენი მეტი შემოსავალი ექნება სოფლის ხალხსა. სხვა ქვეყნებში საცა არ არის განგებ აშენებენ, აუზებს აკეთებენ საიდგან სად წყალი გამოჰყავთ, რა არის ხალხი უთევზო არ დარჩესო და გამკეთებელსაც შემოსავალი ჰქონდესო. ახლა ჩვენში მზა-მზარეულად წყლები თევზით საესა და ჩვენ კი ეწყვეტავთ. სარჩოს და შემოსავალს ჩვენის ნებითა ვიკლებთ. აბა რა ჭკუაა? არა სჯობია გაუფთხილდეთ, რომ უკლებლივათ გექონდეს, არ გამოლილიოს ეს ღვთისაგან მოცემული სასარგებლო სარჩო.

როგორ უნდა გაუფთხილდეთ, რომ უკლებლათა გექონდეს ფრინველიცა და თევზიცა? ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა მიზეზთა [illegible] ფრინველი და თევზი?

პირველი მიზეზი ის არის, რომ ფრინველს კვერცხის დადების დროს და გამოჩეკის შემდეგ ბარტყების დაფრენამდის ხოცვენ მონადირენი. ფრინველი, რასაკვირველია, არ მოილეოდა, რომ დაეცალათ ბარტყების გამოჩეკა და დაფრენა, მაგრამ კაცის მოუფიქრებლობა იმისი მტერია. [illegible] არა: არც ბარტყების დაზდას, არც კვერცხების გალაყებას და არცარა სხვას, ოღონც კი [illegible]ოდე ფრინველი მოჰკლას. მეორე მიზეზი ფრინველის გაწვეტისა ის არის, რომ [illegible]ვანაც ხშირათ ერთ ადგილს ნადირობს თითო კაცი, ან მთელი სოფლების გლეხები, ფრინველი ფრთხება, და იმ არე-მარესა შორდება და საცა უფრო მყუდრო, მოსვენებული და გადაკარგული ადგილია, იქ მიდის და ბინას იკეთებს. ეი ეს ორი მიზეზია ფრინველის მოკლებისა.

თევზიც სწორეთ ასეა, არც პატარათ მოზდას აცლიან და სულ მუდამ ერთ ადგილებში ჩაიცავდებიან თევზაობასა, თევზის კვერცხი (ხიზილალა) ფუჭდება, თევზი ბინას იშლის, სოფელს ეცლება და ისეთ ადგილს იკარგება, საცა კაცის ფეხი არ გაიელის.

ამისათვის ერთი ღონის-ძიებაა რომ სოფელს თევზი და ფრინველი არ მოაკლდეს, საჭიროა, რომ იმ დროს, როცა თევზი ხიზილალასა სდებს და ფრინველი კვერცხსა, იმ დროს თევზაობას და ნადირობას კაცმა თავი დაანებოს. ფრინველის კვერცხის დებისა და ბარტყების დაფრენის დროა არის მარტის გასული, აპრილი, მაისი და თიბათვე. თევზის ხიზილალის დადებისა და ჭიჭყინების გამოსვლის დროა არის მარტის ოცდაგან მაისის გასვლამდინ. აი ამ დროებში სრულებით არ უნდა შეაწუხონ ფრინველი და თევზი, რომ გამრავლდეს. სოფლის ხალხმა რომ გადასჭრას, რომ ყადაღაა ზემოხსენებულ თვეებში თევზაობა და ნადირობა, ძალიან კარგი შესამატი იქნებოდა სოფლისათვის.

ამას გარდა ერთიც ეს არის საჭირო, რომ ხშირათ ერთ ადგილს ნადირობა და თევზაობა უნდა აკრძალონ.

სანამ ესე არ მოიქცევიან, თანდათან დაცოტავდება თევზიცა და ფრინველიცა და ბოლოს სულაც გაწყდება. სოფლის მამასახლისებს, მოსამართლეებს და ყველა გლეხებს მოვალეობა აქვთ, რომ ეს ნაკლებულობის მიზეზი დროით თავიდგან მოიშორონ, თორემ, როცა ყველა გაწყდება, მერე ვეღარა ეშველება რა და ცარიელები დარჩებიან.

ერთი კარგი ამბავი რაჭაში

ქალის გამზითვაზე.

რაჭის ზოგიერთ სოფლებში ამ ოთხმეოცდაოთხ წლის წინათ ხალხი შეყრილა და გადაუწყვეტია, რომ ქალის გათხოვებაში არავინ არ მისცეს არც მზითვი და არც ფული, ან ხარ-კამბეჩი, ან კიდევ სხვა რამ; და თუ ვინმე გა-

დაიდეს ამ დაწესებასა, დიდი ჯარიმა გამოერთოს ქალის პატრონსაცა და საქმროსაც უკან წაართვან მიცემული მზითევი და ფული.

ეს წესი ძალიან, კარგი წესია, ამიტომ რომ ბევრი ღარიბის ქალი, კარგი ჯაფის მოყვარე და ოჯახის მამვლელი უმზითვობისა და უფულობისა გამო გაუთხოვარი რჩება. ამასთანავე მზითვისათვის ბევრი შფოთი, მითქმა-მოთქმა, ჩხუბი და შური, ერთმანეთის ჯიბრში ჩადგომა ხდება, მეზობლობაში და ნათესაობაში ერთობა და სიყვარული იკარგება, ერთი სიტყვით ათასნაირი საძაგლობა, ავკაცობა და ბოროტი გამოდის. როგორც ზემოთა ვთქვით სამეფო ყმაწვილი ბიჭი ქალს ხომ აღარა ხარბდება, ფულსა ხარბდება და ბოლოს თავის თავს აწყუებს. ქალი ოჯახის გამძღოლას და ქმრის შემწეობას რიგიანათ არა კისრულობს და ქმრის მეუღლე და ამხანაგი კი არ არის, შფოთის ჩამგდებია და ოჯახის მამთხრელია. ახია მე და-ჩემმა ღმერთმა იმისთანა კაცისათვის, ვინც ფულსა და მზითევს ეძებს, თუ ქალი სდომოდეს, მზითევს რათ გამოუდგებოდა. ალბათ რომ პატიოსანი ამხანაგი არ უძებნია, და მზითევს თვალებიც აუხვევია. მოდი და ნუ იტყვი ამისთანა კაცზე, რომ თავის თავის მტერი ყოფილაო.

ვინ მოსთვლის იმდენ საცოდაობას და ურიგობასა, რაც ამ მზითვისაგან გამოდის? ვის არ გაგიგონიათ და არ გინახავთ გამწარებული ყმაწვილი კაცის ამბავი, იმის ოჯახობაში ჩამოგდებული შფოთი, ჩხუბი, დედა-შვილის გაყრა, ადრე მშვიდობიანი ძმებისა, ნათესავებისა, და სხვა და სხვა ურიგობას ვინ ჩამოსთვლის? ბევრი ესეები სულ მზითვის და ფულის სიხარბისაგან მომხდარა.

ბევრჯერ გაიგონებს კაცი, რომ თითქოს ამას წამალი არა აქვსო. წამალი ადვილი არის, ოღონდ მთელმა სოფელმა ერთათ გადასწყვიტოს ამ ჭირის მიზეზის ამოგდება. აი ეს ქალის მზითვის და ფულის მიცემა რომ ერთის ხმით მამების და სამეფო უცოლშვილო გლეხების შეყრილობით, მთელის სოფლით აკრძალონ საშვილიშვილოთა, ერთ დიდ ჭირს მორჩებოდა ჩვენი სოფლის ხალხი. ამასთანავე ყველამ რომ თვალყური დაიჭიროს რომ ჩვეულებათ შემოვიდეს და ამ წესს არავინ არ გადასცდეს, ძალიან კარგი საქმე იქნება.

მარტო ერთად ერთს შემთხვევაში შეიძლებოდა მზითვის მიცემა როცა გასათხოვარი ქალი ობოლია და მამულს, ფულს ან ოჯახობას იმის მეტი პატრონი სხვა არავინ არა ჰყავს. და ეს მეტადრე იმითვის შეიძლება, რომ ხშირად უმამულო ელის კაცი თხოულობს ობოლ მამულიან ქალსა.

(«დროებიდამ» კორრესპონდენცია)

სამეგრელოს მოსავლის შესახებ

(დასასრული) *)

ამ დროს მართლა მოატანა იქამდის ერთმა ევროპიულად ჩაცმულმა ყმაწვილმა, რომელსაც რამდენიმე კაცი მოჰყვებოდა და ლაპარაკით ამ ჯგუფს მიესალმა და ცალიერს ადგილზე დაჯდა.

— როგორ მშვიდობით, ბატონო, რას შეექცევით? ჰკითხა ყმაწვილმა იქვე განზე მდგომარე მოხუცს, რომელიც ცოტა დარცხვენილივით მიემშვიდობა და შორი-ახლოს სკამზე ჩამომჯდარმა უპასუხა:

— მადლობელი გახლავარ, —ისე, ერთ რიგად, გვიდგია გაჯახირებული სული.

— კიდევ სჩივით! კიდევ ვერ შეეჩვიეთ კარგად ახლანდელ ყოფას?

—სხვა არაფერი, მაგრამ ეს მოჯამაგირეები— შენი მტერია, ისინი ირჯებოდენ; დღეში ათასჯერ რომ გულზე შემოგახეთქონ, თუ გინდა ერთი იყოს, მიაქვთ ეს უშველებელი ფული და არაფერს კი არ აკეთებენ. რა? ვერაფერს გაუბედავ და რასაკვირველია, თავი ურა ცხენივით ზევით მიაქვსთ! რომ ერთი წაუჯიკავო, ან რამე წაიცდინო ენიდამ, მაშინვე გიჩივლებს და ასჯერ სასამართლოში წაგათრევს; არა და ყოველისფერი ხდება, ეკარგება, ერთი რომ რამე ასწავლო, ათად შემოგიბრუნებს და ეს არის უკეთესი? ამას ფარეში რავა გამიბედავდა, სულ ტყავს გავართმევდი; ამათ რას მოუხერხებ? ერთი აწყენიო, მაშინვე ზე მიგატევებენ და გაიქცევიან სადმე და დარჩები სულ ცალიერი და დაგიოხრდება ყოველისფერი .... რომ აღარ გვიდგებიან—სულ გზისაკენ და ქალაქებისაკენ მიცვივიან.

— ეგ, მათგან უფრო, თქვენი ბრალია, ბატონო. მოჯამაგირეებს უფრო კაცობრივად რომ ეპყრობოდეთ, დამიჯერეთ, რომ არც ერთი არ გაგექცევათ სადმე და არც სიტყვის შემობრუნებას ისწავლის, რომელსაც თქვენი მწარე ლაპარაკი აიძულებს, გააბედვინებს ერთხელვე და დააჩვევს. თვითონ თქვენ იფიქრეთ, თუ ალერსსა და კარგ სიტყვას უფრო არ აგდებს და არ ჰყვება კაცი სურვილით, ვინემ მკვახე ბრძანებას და მქისე საყვედურიანს ჩიჩინს, რომელიც უმალ ხვდება კაცის თავის მოყვარების გრძნობას და ჭინჭარივით შხუნავს გულის დანდობას?

— მაგას დიალ გონიერად ბძანებთ და ძალიან სასარგებლოც არის, დროზე გაფთხილების გაგონება; ოღონდ ჩვენ რა ვიცით რა წესს მისდევს ცხოვრება და იმითი ვსცოდავთ ხოლმე, რადგან არაფერი გვისწავლია. ეს სწორედ ჭეშმარიტია, რომ ჟინი ჟინს აწევს და სიმშვიდე-სიმშვიდეს; კაცმა რომ იფიქროს, დასტურ ცოდვა არის ფიცხლად ქცევა მოსამსახურეებში; მაგრამ, ზოგი რომ ერთობ გაავებულია, ამას რა ეშველება?

— ეგ, ისევ ბატონების ავად-ქცევისაგან გახლავთ...

— ავად მტერი გაგიხდა, ავი განჩინება თქვენ წაგვიკითხეთ. მაგრამ რა ჰქნას კაცმა, რომ მეტი თავი და სულგრძელობა არა გვაქვს: უმეცრება სხვასაც ბევრს დააშავებს და ბევრს უბედურებას გვიმზადებს, როგორც თქვენისთანა კაცებისაგან გამიგონია. მაგრამ ამ ჩვენი ქალაქის საქმე როგორ არის, ან რკინის გზისას და ამ ჩვენი ბანკისას რას მიბრძანებთ? მართლა გვეღირსება როდისმე ნეტაი, თუ არას ოდეს არაფერი საშველი მიეცემა?

ამ სიტყვაზე მოხუცი წამოვარდა და წყენით მიაყოლა იმას;

*) დასაწყისი «სახოფლო გაზეთში» 1872, № 23 და 24.

— უი, რას ამბობ შენ კურთხეულის შვილო! ბანკს ის არ ჯობდა ჩვენი ფული დაგვბრუნებოდა თვარა, ეს ბანკიო და მეათედი დაგვატოვებინეს, ეს სასწავლებელს გავხსნითო და კიდე იმდენი ფული შევსწირეთ'—ნახევარი ჩვენი ყმის ნაფასური იქ ჩავტოვეთ და არც ის იქნა და არც ის. ან რათ მინდა ბანკი, ხელში არ მირჩევნია ჩემი ფული?

— მაგას ნუ იტყვი, მიუგო ერთმა იქ მდგომმა, თქვენ მაგას ნუ იტყვით, თვარა სხვანაირად ჩამოგართმევენ. ბანკი როგორ არ არის საჭირო; იმის მეტი რა გვიშველის ახლანდელის უფულობისა და საარაკოდ ვეება სარგებლისაგან? რომ ბანკი გვქონდეს, ნუ გეწყინება და არავინ ისესხებს შენგან მაშინ ფულს იმ უშველებელი სარგებლით..აი, თუნდ ამას ვკითხოთ, აბა რა გვითხრას ბანკზე და სხვებზედაც?

— რასაკვირველია, დაიწყო ყმაწვილმა,— ამას რაღა დამტკიცება სჭირდება, რომ ბანკი ეხლა ჩვენი სულის ჩადგმა იქნება; მაგრამ ერთი, რომ ჩვენმა უთაურობამ ამასაც ვერაფერი თავი მისცა ჯერ და რა უნდა ითქვას, როდესაც არც გაჩენილა, თორემ მისი სიკეთე, შეიძლება, უანგარიშო უჭკუო ხმარებით კაცმა სიავედ გარდააქციოს. ამაზედ ჩვენს «დროებაში» და «კრებულშიდაც» კარგი ძალი იყო დაწერილი და ახსნილი, თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ ვიცი, რომ ბევრი ჩვენგანი იმას ვერ წაიკითხავდა..

— ამ ჩვენი ქვეყნისათვის, ბატონო, როგორი ბანკი უნდა იქნეს უკეთესი? გააახლა თანამესაუბრემ.

— თქვენ მიბძანეთ ჯერ ეს, რომ დიდის ხნით და ცოტას სარგებლით გირჩევნიათ მოგცესთ ფული კაცმა, თუ ცოტა ხნით? მოუბრუნა ყმაწვილმა.

— ეს რაღა საკითხავია, რომ დიდის ხნით მირჩევნია.

—ყველა კაცსარ ურჩევნიათ ასე, მაგრამ იმათ ეხლა ნუ გამოუდგებით. ჩვენ ეს ვსთქვით, რომ, რადგან ყველა მემამულეები ვართ და მამულის მუშაობას და გამორჩენას საყოფი ხანი უნდა, ამიტომაც ჩვენ სამამულო გრძელვადიანი ბანკი უფრო ფეხზე წამოგვაყენებს, თუარა ჩვენ ასეთი ცქვიტად ფულის მტრიალებელი ვაჭრები და ალებ-მიმცემები არა ვართ, რომ მოკლე ვადაში მოვასწროთ ბანკს გასტუმრებაც და თავის შესამატის ჩამოგდებინებაც. ამასთან ბანკი საყოველთაო თუ არ იქმნა, მისი სარგებლობა ქვეყნისათვის საერთო კი არა და კერძოებითი, განკუთვნილი იქნება და საზოგადო კეთილ დღეობას, რასაკვირველია ისე ვერ მოეხმარება. გარდა ამისა ჩვენი ფული ძალიან ცოტა არის ბანკის დასაარსებელ ხასილად და მისთვის ორივე გუბერნია ერთად რომ შევსდგებოდეთ, უფრო მოსრული და გამწდომი ბანკი გაგვიკეთდება, კაი მოზდილი თავნით და საიმისო მცოდნე კაცებსაც, ასე რომ გვეჭირს, უფრო გამოვირჩევთ.....

— კი, ეგ ვსთქვათ, მაგრამ, ჩვენებურები მიტომ არიან ამის უარს, რომ ქალაქს ჩვენი ბანკი ერთად რომ იქმნესო, ქართველებს ძალიან ბევრი ვალი ჰმართებსთ და იმოდენს გამოიტანებენ, ბანკს დაგვიცალიარებენო და ჩვენ მშრალი დავრჩებითო.

— მაგისი ნუ გენაღვლებათ, უპასუხა ყმაწვილმა, ვალი და საჭიროება აქაც არ არის ნაკლები თფილისის გუბერნიაზე და დაცალიერება ბანკის რომ არასდროს არ უნდა მოჰხდეს, ისე უნდა გაიმართოს; კიდევაც ამიტომ არის საჭირო, რომ ჩვენ ყველამ ერთად ჩვენის ქონებით უნდა დავაყაბულოთ, დავათავსმდებელოთ ბანკის შეძლება, რომ რამოდენიც ენდომება, იმოდენად დიდი ფულის უეჭველათ უშიშარი ნდობა ჰქონდეს ყოვლის ფულიანის ადგილისა და პირისაგან; თორემ ვერცკი დაწესდება, რომ ახლა მოგახსენეთ, იმისთანა დიდის ხნით მსესხებელი სამამულო ბანკი. უამისოდ, რაც უნდა იქმნეს ჩვენში ბანკი, სწორე მოგახსენოთ, ვერ წამოგვაყენებს, ამიტომ რომ, ჩვენ ჩვენის თავ-შეუდებელის, უანგარიშო ცხოვრებით ჩვენს თავსაც და ჩვენს ბანკსაც ისე უცებ გავაკოტრებთ, რომ უკან მოხუდებით ვერ მოვასწრებთ და ასე ეს ჩვენი გამკეთებელი ბანკი ჩვენი დამღუპველი შეიქნება. ყოვლისფერი მოხმარებამ იცის: ძალიან კარგი სასარგებლო ნივთი შეიძლება კაცმა ძალიან ავსავნებლად გამოიყენოს: წყლით თუ ნდა იცოცხლებს კაცი და თუ უნდა დაიხრჩობს თავს.

— რკინის გზაც ასეა, რადგან იქით თუ გვართმევს, თუ არა აქეთ არაფერს გვაძლევს, ამიტომ რომ, ჯერ არის და ერთობ კიდეზეა გავლებული და უმეტესი ნაწილი მცხოვრების სამკვიდროსაგან დაშორებული და მისავალი. მომხრობილი გზები არ არის. ჩვენ ადგილ-მამულის გამოსავალი და ხელნაქმნარი არა გვაქვს რა, რომ მარჯვედ და მოგებით გავასაღოთ; ეს არაფერი მაგდენი სამსახურია, სვრიდამ. ლომსიანთ-ხევიდამ და სხვაც ზემოთიდამ ფოთს ღვინო მოიტანოს და ქვემო სამეგრელოდამ სიმინდი წაიღოს. ცხოვრება თან-და-თან უფრო ბევრს გვთხოვს და ვალს გვიმატებს, რადგან თავისი არ გვყოფნის. ამ ნაირად, ცხოვრებასთან ფულიც თან-და-თან ძვირდება და მისი სარგებელიც დამღუპველ-დიდად გადიქცა და თვითონ ეს დიდებული მიწაც ჯერ უგონო და ამკლების მუშაობით, უმეცარის მუშებისაგან ილაღება, ილევა და მოსავალს კლებულობს უსათუოდ ყოველს მოწევაზე. ჩვენებურებმა თუ ისწავლეს რამე, უნდა ან სამსახურში შედიან, ან ადვოკატად დადგენ, თუარა, ადგილ-მამულთან არა რგებია რა, რადგან დღეს დღეობით თითოეული ამათგანი ამით უფრო ირჩენს თავს, ვინემ მიწის მოვლით, რომელსაც დიდი ფული უნდა და კაი ხნის მოთმენა. ესენი ამათ არც ერთი არ ჰქონდათ და მოკლე-ვადიანი ბანკი ვერც ვერასოდეს მისცემსთ.

—ამ ყოფით, ამ მამულის მუშაობის უძებრობაში, ამისთანა მარტო მიწისაგან სულდგმულ მხარეში, სადაც მანუფაკტურა და ალებ-მიცემა არც მოგვჩვენებია ჯერ, ამ ფულის ძვირობის დროს, ცხოვრების საჭიროე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მომატებისა და გაძვირების დროს, ბანკი, რომ კიდეც გველირსოს, თუ კარგად ადგილ-მამულს მომჭირნე ხელი არ მოვკიდეთ და არ დაეუფაუთურდით, ისე ჩვენს უზრუნველ ყოფას არ გაეყარეთ, სამსახური, რომლითაც სამშობლოს ეაკლიერთ და თეითონ იმას არას მაგდენს ეარგიერთ, თუ სოფლის მეურნეობის და მექარხნეობის, ერის და მცოდნარების და განათლების და სხვაც საქეყნოდ კეთილის მომტანი საქმის სამსახურად არ გადაეაქციეთ,—ჩვენ იმისთანა ბასაოცარი ცოდვის კითხვა დაგვემართება, რომ ერთი მეორეს ჰკითხაედეს:—ჩვენი ყოველისფერით შემკული ქვეყნის მიწები, ჩვენის უსახრო გაკოტრებით, გადაველიან უცხო ქვეყნის და ტომის ფულით-შეძლებულის კაცების ხელში—ურიების, სომხების, ინგლისელების, ნემეცების და სხ. მაშინ ჩვენ ბოგანოდ, უადგილოდ და უსაზრდოოდ დარჩენილები, ჯერ საპყრობილეებს და მადნის სამუშაოებს დავესებთ და მერე სხვა საშელი არა გვექნება რა, თუ ისეე იმათ, მედღეეარის ლუკმის საშოვრად მოჯამაგირედ არ დაეექ�-ეეთ ჩვენსაეე მიწა-წყალზე, რომელსაც სამეგრელოს, ან საქართველოს მაგაიერად სახელადაც, «სამჭრელეთი,» ან «სანარეთ» უფრო დაერქმეეა და ჩვენი ფულიანი— ბატონებისაგან კი ეს წილათაც გადაგეხდება, რაც უსამართლობა და იწროება ჩვენ მიგეყენებია ჩვენის ყმების და მოსამსახურებისათვის. ამისთანა, საკუთრების უსამართლოდ და დროს ნახვით ჩანაშორება [illegible] ძსხვილ-მსხვილი და [illegible] ოიცხვის მესაკუთრეები [illegible] ენ იცის რა შურს ადუღებს და მოსისხარობას თავს წახსნის!... ამითი წარმოდგენა ეწკრიეად სწორედ ზარის დამც�eა; მაგრამ კი უნდა ვიგრძნოთ, რომ ახლა ჩვენ ამის თავდაღმართში დაგორებული ვართ და იმის ფრიადი სისწრაფითაც მიგვაქნებს დრო, რომ ერთს მშვენიერს, კი არა და,—ერთს დაქცეულს ღილას, არ გვეგონოს, ისე თავს წაეადგებით ამ ჩვენ ფეხს ადგმას, რომლისაგანაც ახლა, გონების გახსნის და მიწის მცოდნე მუშაობის მეტი, სხვა ეერაფერი გვეხსნის და მერე მაინც არა გვეშველება რა, სულ ახლანდელის «ახ თეალეფოს» მაგიერად, გულის გადასაყოლებლად ეიმღეროთ:

ახ, ფუღებო, ფუღებო!
ბრეღო, დასტეღებო,
ჩვენთვის სელში ბაგეარეთ,
თქვენ ღვთისაგან კრეღებო!?...

ეს ღმერთმაც გეაშოროს, მაგრამ თეითონ ჩვენ უფრო ეაშოროთ ჩვენ-თავს, იმითი რომ, სხვათა შორის, როგორც ბანკით შევერთდეთ და ერთად დაეაყაბულოთ ჩვენის საცხოვრებლითი, ისე გაეერთოთ სოფლის მეურნეობის და აღებ-მიცემის საქმიანი შრომა, სწავლისა და ყოველ ენების საბეღნიერო მეცადინეობა, სამშობლო ენის და ისტორიის შესწავლა და ამის მაშალა ყორეები დავანგრიოთ. სურამის ქოჩორა ქედს ხომ ცხვირი ჩამტვრიეს და მალე, მგონია გულსაც გაუპობენ, ცხენის წყალზე ხომ მაგარი ხიდი გაიდვა, ჩვენი ხლვა თუმცა გეეწყრება, რომ ბევრი ტყეები ულმობელად დაეკაფეთ, მთები დაეატიტვლეთ და მით ჩვეულებრივ წყლის ბეგარა მოვაკელით და მიტომაც წვიმაზე გაგვიძუნწდა და გაგვიფხრილდა—ხანმეტნათაც ერთიანად დაგვირეცხს ყორეს შიშველი ეერდებიდამ უცებ ჩამოჭრილი ეარი;—მაგრამ თუ ჩვენი შეერთებული ძალა სოფლის მეურნეობას მიადგა და ტყეებიც გაიჩინა ახალი და ძველი გამოგვეზოგა, იმასაც მალე გავარიგებთ და მერე ამ კეთილშეკაზმულ, უხვს ქვეყანაში, რომელიც სხვებს უკან არ ჩამორჩენოდეს—იქმნება ერთობის ბაზრის მიხვდომაში, ახლანდელი «ჩარირამა» ასე შემოესძახოთ;—მე დავიწყებ და თქვენ ბანით ამყეეთ:

ოდელბო,
ჩარი-რამ!

ბერეუ და სოსიგედა უზარდისთან ჯდებაო,
რომ მათ ერთ-სელა დაითეგენ წმინდა საერო
მცნებაო:
სადაც კი ერთი მოჭეგდებ, მეორეც იქ იშრებაო,
რომ ეველეს ერგოს მამეღის დირსი მადლი და
ქებაო!

ჩარი-რამ!...

და ახლა მშვიდობით, ბედნიერად; მიმეჩქარება მაშინაზე, არ გამისწროს, თუარა ამ გზას მეც ისე საბარალოდ ჩამოვრჩები უკან, როგორც ჩვენი ოქრის მატყლიანი ქვეყანა ჯერ ამ საუკუნის ცოდნას და ნაღვაწს.... ვასწრაფოთ ყველამ ერთპირად და ღმერთიმც გაგვამარჯვებს!...

ამე დააბოლოვა ყმაწვილმა და გასწია.

მეგრი-ჯორჯესპონდენტი.

აქა ვბეჭდავთ განცხადებასა, რომელიც მიგიდეთ და საჭიროა იცოდნენ ქალაქელ, ცხენის და ფარის პატრონებმა.

განცხადება

გენერალ-მაიორი კნიაზ ევატანგ ორბელიანი, გენერალ-მაიორშა კნეინა დარია ქობულოვისა და მოიჯარადრე კნიაზ ალექსანდრე ივანიჩის ბარატინსკისა გარბოვეკი-ბარონეკ ამითი გამოუცხადებენ ცხვრის, საქონელს ღორის და აგრეთვე ცხენების ჯოგების მეპატრონეთ, რომ წლეეანდელ 1873 წლის დაწყებიდგან იმათ დროებით დააწესეს იმ საძოვარს ადგილებში, რომელიც იმათ ეკუთვნისთ ტფილისის გუბერნიაში შემდეგი ბაჟულის საძოვარის ფასი:

ოთითო ცხვარზედ . . . . ორ კაპეიკ-ნახევარ
თითო საქონელზედ . . . ერთი აბაზი.
თითო ღორზედ . . . . . სამი შაური.
თითო ცხენზედ . . . . . ერთი აბაზი.

ცხვრების, საქონლის, ღორების, და ცხენების მეპატრონენი, რომელთაც მოჰყავთ ან კელავაც მოინდომებენ თავიანთ ცხვრის, საქონლის, ღორის და ცხენების მოყვანას ზემოხსენებულ ადგილებში საძოვრათ, ამის იცნობებიან წინათვე რომე, რა ფასსაც გ[illegible] მოართმევენ იმ საძოვრისთვის.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 Февраля 1873 г. ბ. წერეთლის და ამხ. (დუბლინის) სტამბა. *რედ. და გამომცემელი* ბ. წერეთელი